

**ინდივიდის შფოთვის დონე და პანდემია: მიმართებები და
თავისებურებები**

ლოლა ლომიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

კლინიკური ფსიქოლოგია

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია შეყრილაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

აბსტრაქტი

2019 წლის ბოლოს მსოფლიოში კოვიდ-19 ინფექცია გავრცელდა, რომელიც მოგვიანებით პანდემიად გამოცხადდა. ვირუსმა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. პანდემიის გამო უამრავ ქვეყანაში კარანტინი გამოცხადდა. ამერიკის ფსიქიატრიის ასოციაციამ და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ მოსახლეობაში შფოთვის მნიშვნელოვან მატებაზე დაიწყეს საუბარი. ვირუსით დაავადების და ფიზიკური საფრთხის გარდა, შფოთვის მატების მიზეზი შესაძლოა სოციალური დისტანცირება და მატერიალური მდგომარეობის გაუარესება ყოფილიყო. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებისთვის ინტენსიურად გაიცემოდა ისეთი რეკომენდაციები, რაც მათ პანდემიით გამოწვეულ სტრესთან გამკლავებაში დაეხმარებოდათ.

მოცემული კვლევის მიზანი ინდივიდის შფოთვის დონესა და პანდემიას შორის მიმართებების დადგენაა. გაჩნდა მოსაზრება, რომ შესაძლოა გენერალიზებული შფოთვის მქონე ინდივიდებზე პანდემიის სტრესს შედარებით ნაკლები გავლენა მოეხდინა, ვიდრე იმ ინდივიდებზე, ვისაც პანდემიამდე არ ჰქონიათ ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოკვეთილი პრობლემა.

შეირჩა სპეციალისტის მიერ დიაგნოსტირებული გშა-ს მქონე 20 პირი (ჯგუფი 1). იგივე პროპორციით (დემოგრაფიული მონაცემები, რაოდენობა) შეირჩა ადამიანები, რომელთაც პანდემიამდე არ ჰქონიათ ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოკვეთილი პრობლემები და არასდროს მიუმართავთ სპეციალისტისთვის (ჯგუფი 2). კვლევაში ყველა მონაწილის შფოთვა გაიზომა, როგორც ზოგადად შფოთვის საკვლევი (გასული ორი კვირის მდგომარეობა), ასევე სიტუაციური შფოთვის კითხვარების (ამჟამინდელი

მდგომარეობა) გამოყენებით. რესპოდენტებმა შეავსეს წინასწარ შექმნილი კითხვარი, რის შემდეგაც მათ ჩაუტარდათ სტუქტურირებული ინტერვიუ. კვლევა შერეულია, (რაოდენობრივი, თავისებრივი) შესაბამისად მონაცემები გაანალიზდა, როგორც რაოდენობრივად (SPSS პროგრამის მეშვეობით), ასევე თემატურად.

მონაცემების თემატური და რაოდენობრივი დამუშავების შედეგად აღმოჩნდა, რომ გშა ჯგუფის წევრების შფოთვა ნაკლებად გაიზარდა, ხოლო არ აგშა ჯგუფში შფოთვის ზრდა საგრძნობი აღმოჩნდა. შედეგებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები დაფიქსირდა უსაფრთოება-დაცულობის შეგრძნებებთან დამოკიდებულებაში. პირველი ჯგუფის წევრები გაცილებით დაცულად და კომფორტულად გრძნობენ თავს კარანტინის პირობებში ვიდრე მეორე ჯგუფი. სოციალურმა დისტანცირებამ მშფოთვარეებში ნეგატიური გავლენას ვერ მოახდინა, რასაც ვერ ვიტყვით არამშფოთვარე პირებზე. განსხვავებები დაფიქსირდა სტრესის დაძლევის გზებში: მეორე ჯგუფის წევრების მონაცემების ანალიზით გამოიკვეთა, რომ ისინი უმეტესწილად ემოციურ დაძლევას მიმართავენ. თუმცა ორივე ჯგუფში პრობლემის გადაჭრის გზებზე ორიენტირების ტენდენცია გამოიკვეთა.

კვლევას აქვს შეზღუდვები: მონაწილეთა რაოდენობა, ცვლადები, რომლებიც ვერ კონტროლდებოდა არსებული სიტუაციის გამო. ამიტომ მართებული იქნება მის შედეგებზე როგორც აღმოჩენილ ტენდენციებზე საუბარი.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, შფოთვა, დაძლევა

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა, კვლევის ხელმძღვანელს ქალბატონ ია შეყრილაძეს. გაწეული უდიდესი დახმარებისთვის. დროული პასუხებისთვის, დამაფიქრებელი შენიშვნებისთვის, თანადგომისთვის და რაც მთავრია ნდობისთვის.

მადლობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მომუშავე სპეციალისტებს, ფსიქიატრ გიორგი ჭეიშვილს და ნევროპათოლოგ გოგიტა გეგელაშვილს, გშა -ს მქონე პირებთან დაკავშირებისთვის და დახმარებისთვის.

მადლობა, ამერიკაში მოღვაწე ფსიქიატრ ირაკლი მანას რჩევებისთვის.

მადლობა, კვლევის მონაწილე თითოეულ პირს, ნდობისა და გულწრფელობისთვის.

მადლობა, ჩემს მეუღლეს და შვილს, კვლევის პროცესში ჩემი გამძლებებისთვის.

მადლობა, ჩემს მეგობარს თორნიკეს.

მადლობა, პლუტოს, სუშის და მოზის (ჩემი ძაღლები) გამხნეებისთვის.